პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი №39 (11345) | სამშაბათი, 17 თებერვალი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

შვიდწლედი მოქმედებაში

შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის



მძლავრად იკაშკაშონ შეჯიბრების ჩირაღდნებმა

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ მხოლოდ სოციალიზმი ისტორიაში პირველად იძლევა საშუალებას გაჩაღდეს შეჯიბრება ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივი მასშტაბით. ლენინის წინასწარხედვა სინამდვილედ იქცა. მას შემდეგ, რაც 30 წლის წინათ ლენინგრადში, ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცში“ ხელი მოაწერეს სოციალისტური შეჯიბრების პირველ ხელშეკრულებას, შეჯიბრება გადაიქცა კომუნისტურ მშენებლობაში საერთო-სახალხო, მშრომელთა მილიონიანი მასების მძლავრ მოძრაობად.

საბჭოთა ხალხების დარაზმულობამ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მისმა მაღალმა პატრიოტიზმმა, ერთგულებამ ვ. ი. ლენინის საქმისადმი, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საქმისადმი ერთხელ კიდევ ახალი ძალით იჩინა თავი პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობისათვის მზადების, მისი მიმდინარეობის დღეებში და ყრილობის შემდეგ.

პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი ჩვენი ქვეყნის ხალხებმა მიიღეს როგორც თავიანთი ძვირფასი, სისხლხორცეული საქმე. ჯერ ორი კვირაც არ გასულა ყრილობის მუშაობის დამთავრებიდან და ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან უკვე მოდის ცნობები ახალ შრომით აღმავლობაზე, სოციალისტური შეჯიბრების სულ უფრო მზარდ გაქანებაზე. პარტიის გადაწყვეტილებებით, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი პროგრამით აღფრთოვანებას საბჭოთა ადამიანები ყველაზე ნათლად გამოხატავენ თავიანთი შრომითი საქმეებით.

პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებმა როგორც მთელ საბჭოთა ხალხში, ისე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში უმაგალითო შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია. საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტის, ახალმშენებლობათა კოლექტივები, ცალკეული ადამიანები თავდადებით შრომობენ შვიდწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამის მკაფიო მაგალითია თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსების, მოსამსახურეების მოწოდება შვიდწლიანი გეგმის ექვს წელიწადში შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. ელმავალმშენებლების ამ შესანიშნავ ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის მრავალი საწარმოს კოლექტივებმა, კომუნისტური შრომის ბრიგადებმა, ცალკეულმა ადამიანებმა.

პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა კონფერენციის მონაწილეებმა. მხარი დაუჭირეს რა მოსკოვის ქარხანა „კაუჩუკის“ რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების მოწოდებას „შვიდწლედის სახელობის ნოვატორულ წინადადებათა ფონდის“ შექმნის შესახებ, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი და რესპუბლიკის საწარმოთა გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მოუწოდეს გააჩაღონ საყოველთაო სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

მხარდაჭერის ღირსია თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ კოლექტივის ინიციატივა. ამ ახალგაზრდა საწარმოს ადამიანებმა გადაწყვიტეს, როგორც თვითონ წერენ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში, გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება. მათს ინიციატივასა და ვალდებულებებში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ქარხნის კოლექტივის თვითეული წევრი კისრულობს შვიდწლედის დავალება ყოველწლიურად შეასრულოს სულ მცირე 5 პროცენტის გადაჭარბებით.

შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება საათვის მშრომელი მასების მოძრაობას ფართოდ უნდა დაუჭირონ მხარი ადგილობრივმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საწარმოთა და სხვა სამეურნეო ხელმძღვანელებმა. მთავარი ამოცანები, რომლებსაც ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, არის სოციალისტური შეჯიბრების მასობრიობა, მისი სწორად მოწყობა, ყოველდღიური ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა უეჭველად შესრულებისათვის. საჭიროა საქმის ისეთი ორგანიზაცია, რომ შეჯიბრების მონაწილეთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა მუდმივი ყურადღება ექცეოდეს და კონტროლი ეწეოდეს.

პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების შესრულებისათვის საჭიროა არა იერიშობანა, არამედ ყოველდღიური მოფიქრებული და შეუნელებელი შრომა. რაც ერთ თვეში არ გაგიკეთებია, შეუძლებელია გააკეთო ერთ დღეში. სწორედ ყოველდღიური მუშაობა ქარხანაში, შახტში, მინდორში არის ბრძოლა კომუნიზმისათვის. „კომუნიზმი, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის გამოსვლაში რიაზანში, — შენდება მეცნიერის შრომით მის კაბინეტსა თუ ლაბორატორიაში, მუშის შრომით ქარხანაში, მწველავის შრომით ფერმაში და ტრაქტორისტის შრომით მინდორში. ყოველი საბჭოთა ადამიანი თავის უბანზე პირნათლად უნდა ასრულებდეს მინდობილ საქმეს და ამით აჩქარებდეს ჩვენი ქვეყნის წინსვლას კომუნიზმისაკენ“.

შეჯიბრების წარმატებაში ერთ-ერთი მთავარია ის, რომ ყველას კუთვნილებად გავხადოთ შრომის ნოვატორული ხერხები და მეთოდები, ფართო პროპაგანდა გავუწიოთ მოწინავე გამოცდილებას, ყოველდღიურად ვიზრუნოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში დანერგვისათვის, საწარმოო კვალიფიკაციის, ტექნიკური და მეცნიერული ცოდნის დონის სისტემატურად ამაღლებისათვის.

მასების საერთო-სახალხო შეჯიბრება იყო მძლავრი ძალა, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი სოციალიზმის მშენებლობაში. მშრომელი მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის კიდევ უფრო განვითარებით, ჩვენ წარმატებით შევასრულებთ შვიდწლედს, შევქმნით კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ავაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას.

მძლავრად იკაშკაშონ სოციალისტური შეჯიბრების ჩირაღდნებმა! იმრავლოს შეჯიბრების მონაწილეთა რიგებმა, კომუნიზმის აქტიურ მშენებელთა რიგებმა!

გაიხსნა უზბეკური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში

მეგობრების ხელოვნებასთან შეხვედრა ყოველთვის სადღესასწაულოა ყოველი ასეთი შეხვედრა ახლის, ჯერ კიდევ უცნობის ნახვის სიხარულიც არის და იმის ხელახლა განცდაც, რაც დიდი ხანია გიყვარს და გახსოვს. ეს განსაკუთრებული ძალით იგრძნეს მოსკოველებმა 14 თებერვალს უზბეკური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის გახსნის დღეს მოსკოვში.

უზბეკეთის ოთხმა საუკეთესო თეატრმა, მუსიკოსთა და მოცეკვავეთა კოლექტივებმა უჩვენეს ამ დღეს მაყურებელს თავიანთი ხელოვნება — უაღრესად ლამაზი, მდიდარი და უხვი.

მ. აშრაფის ოპერით „დილარამი“, რომელიც დაწერილია ალიშერ ნავოის უკვდავი პოემის „შვიდი პლანეტის“ მოტივებით, გახსნა დეკადა ნავოის სახელობის საოპერო თეატრის კოლექტივმა. უზბეკ სტუმრებს მხურვალედ მიესალმა სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. მიხაილოვი. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა უზბეკეთის სსრ კულტურის მინისტრმა ს. აზიმოვმა.

რესპუბლიკის უძველესმა თეატრმა, უზბეკეთის ჰამზას სახელობის დრამის აკადემიურმა თეატრმა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის ფილიალის სცენაზე უჩვენა ჰამზას პიესა „ბაი და მოჯამაგირე“ — ეროვნული დრამატურგიის კლასიკური ნაწარმოები, რომელიც ოც წელიწადზე მეტია განუწყვეტლივ იდგმება უზბეკეთის თეატრის სცენაზე. პირველი უზბეკი მსახიობი ქალის ნურხონის ბედისადმი მიძღვნილია კ. იაშენის დრამა, რომელიც მოსკოველებმა ნახეს მუკიმის სახელობის მუსიკალური დრამისა და კომედიის თეატრში. თემისადმი, რომელიც აღელვებს ყველას, ვისთვისაც საძულველია ატომური ბომბის შავი აჩრდილი, მიძღვნილია გორკის სახელობის რუსული დრამის თეატრის - სპექტაკლი „ურჩხული და მზე“. პიესის ავტორი — თეატრის მთავარი რეჟისორი ა. გინზბურგი აგვიწერს ნაგასაკელი ქალიშვილის ხისაკო ნაგატოს ცხოვრებას, რომელმაც ატომური ბომბის აფეთქება განიცადა.

უზბეკური მუსიკისა და ცეკვის სიმდიდრე და მრავალფეროვნება უჩვენეს მაყურებელს ამ დღეს თამარ ხანუმის ანსამბლმა, უზბეკური ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრმა და მოცეკვავეთა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა კოლექტივმა „ბაჰორ“, რაც ნიშნავს „გაზაფხულს“ (ხელმძღვანელი — მ. ტურგუნბაევა).

დედაქალაქის კინოთეატრებში ამ დღეს უჩვენეს უზბეკი კინემატოგრაფისტების მიერ გადაღებული სურათები. უზბეკური ფილმების ფესტივალის საზეიმო გახსნა მოეწყო დედაქალაქის ყველაზე დიდ კინოთეატრ „უდარნიკში“.

სსრ კავშირის დიდ თეატრში ნავოის სახელობის საოპერო თეატრის სპექტაკლს „დილარამს“ დაესწრნენ **ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი,** აგრეთვე უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ს. კამალოვი,** უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **შ. რაშიდოვი,** უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **მ. მირზა-ახმედოვი.** (საკადესი).

კოლექტივის თვითეული წევრი — კომუნიზმის მშენებლობას

დიდი გამოცოცხლება იყო ამ დღეებში თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატში“. ამწყობი საამქროს ვრცელ კორპუსში შეიკრიბნენ საწარმოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები. საერთო-საქარხნო კრება, რომელიც მიეძღვნა შვიდწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ახალი ვალდებულებების განხილვას, გახსნა ქარხნის დირექტორმა ლ. ენდელაძემ. ინფორმაციით გამოვიდა პარტბიუროს მდივანი ვ. ნაცელაშვილი. მან დაწვრილებით ილაპარაკა შვიდწლიანი გეგმით საწარმოს წინაშე მდგომ ამოცანებზე, კრების მონაწილეებს გააცნო ქარხნის აქტივის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი ახალი შვიდწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ქარხნის მოწინავე ადამიანები, კომუნისტური შრომის საპატიო სახელის მოპოვებისათვის მებრძოლი ბრიგადების ხელმძღვანელები. ისინი ლაპარაკობდნენ იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომელიც საბჭოთა ხალხში გამოიწვია პარტიის XXI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ახალი შვიდწლედის გრანდიოზულმა გეგმებმა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივმა ზრუნვამ ჩვენი სამშობლოს დიადი მომავლისათვის, ხალხის, კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

— პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებში, — თქვა ელექტროშემდეგებელთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ზ. შავშიშვილმა, — მოცემულია ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის განვითარების შესანიშნავი პროგრამა. ყრილობაზე ამბ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ნათქვამია: „...თუ პროდუქციის საშუალო წლიური მატება ორი პროცენტით მეტი იქნება გეგმაზე, სამრეწველო პროდუქციის დამატებითი გამოშვება 1965 წელს 265 მილიარდ მანეთზე მეტი იქნება, მთლიანად შვიდწლედში კი 900 მილიარდ მანეთს გადაჭარბებს“...

სწორედ ამიტომ, მოდით, ამხანაგებო, ჩვენი საწარმოს კოლექტივის თვითეულმა მუშამ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის ამოცანების გადაჭარბებით შესრულებისათვის. მე ბრიგადის სახელით პირობას ვდებ, რომ **ჩვენი კოლექტივის ყოველი წევრი შვიდწლედის დავალებას ყოველწლიურად 5 პროცენტის გადამეტებით გაანაღდებს.**

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ასეთივე გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს მბურღავთა ბრიგადირმა მ. შველიძემ, ზეინკალთა ბრიგადირმა რ. მიგრიაულმა, ახალგაზრდა ზეინკლმა ქალაშვილმა ლ. გაგუამ.

შვიდწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს:

1. ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ შრომისა და საწარმოო დისციპლინას, სისტემატურად იზრუნებენ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და ამით მიაღწევენ იმას, რომ საწარმოს თვითეული მუშა შვიდწლედის დავალებას ყოველწლიურად შეასრულებს არა ნაკლები 105 პროცენტისა. ამ გზით ქარხნის მთელი კოლექტივი გეგმის გადამეტებით გამოუშვებს მილიონობით მანეთის სასაქონლო პროდუქციას.

2. შვიდი წლის მანძილზე პროდუქციის თვითღირებულებას გეგმით გათვალისწინებული 14-ის ნაცვლად, შეამცირებენ 16 პროცენტით, რის შედეგად სახელმწიფოს მისცემენ 2 მილიონ 200 ათას მანეთ ზეგეგმით ეკონომიას;

3. შრომის ნაყოფიერებას გაზრდიან 50 პროცენტით;

4. მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ყაირათიანი ხარჯვით დაზოგავენ მილიონ 250 ათას მანეთს.

საერთო-საქარხნო კრების მონაწილეებმა იკისრეს შეჯიბრების ეს გადიდებული ვალდებულებები და მოწოდებით მიმართეს საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა საწარმოს კოლექტივს, ინჟინერ ტექნიკოსს, თვითეულ მუშას **კიდევ უფრო ფართოდ გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ყოველი მუშის მიერ შვიდწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით.**

* * *

სურათზე: ქარხანა „ელექტროავტომატის“ მუშა-მოსამსახურეთა საერთო-საქარხნო კრება. სიტყვას ამბობს მბურღავთა ბრიგადის ხელმძღვანელი მ. შველიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

გამძლე, ლამაზი ავეჯი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც ათ თვეში უზრუნველყოფ გასული წლის გეგმის შესრულება, პარტიის XXI ყრილობის მასალებით აღფრთოვანებული, ამ დღეებში კიდევ უფრო მაღალნაყოფიერად მუშაობს.

თბილისის ავეჯის კომბინატის კოლექტივის მოწოდების პასუხად ქუთაისელმა მეავეჯეებმა ახალი ძალით გააჩაღეს შეჯიბრება. მათი გადაწყვეტილებაა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან მილიონნახევარი მანეთის ავეჯი, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება აიყვანონ 90 პროცენტამდე, გეგმასთან შედარებით 10 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და 3 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

მეტი გამძლე და ლამაზი ავეჯის გამოშვებისათვის შეჯიბრებაში დაწინაურდნენ დამფანერებელი ნ. კაჭარავა, ამწყობი ა. საშენკო, მედაზგე ე. კაკალაძე, გამკრიალებელი ვ. თუმანოვა.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობა ურღვევია

მოსკოვის საზოგადოებრიობის კრება

ჩინელი მეგობრებისადმი მისალმების გულითადი სიტყვები და კეთილი სურვილები გაისმოდა 13 თებერვალს საადამოს კავშირების სახლის ოქტობრის დარბაზის ტრიბუნიდან. აქ გაიმართა მოსკოვის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მე-9 წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საზეიმო საღამო, რომელიც 14 თებერვალს გაიმართა თბილისში.

საღამო გახსნა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა რ. დვალმა.

მოხსენება „საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ურღვევი მეგობრობა“ გააკეთა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ა. ა. ანდრეევმა.

— ვუსურვოთ სახელოვან ჩინელ ხალხს, ჩვენს ერთგულ მეგობარსა და ძმას საუკეთესო წარმატებანი, — განაცხადა დასასრულ დამსწრეთა ტაშის გრიალში ამბ. ანდრეევმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური კავშირურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ვ. არხიპოვმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა სსრ კავშირისა და ჩინეთის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებს.

სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ლიუ სიაომ, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. (საკადესი).

თბილისის საზოგადოებრიობის კრება

ჩინელი ხალხისადმი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით აღნიშნეს საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მე-9 წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საზეიმო საღამო, რომელიც 14 თებერვალს გაიმართა თბილისში.

საღამო გახსნა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა რ. დვალმა.

მოხსენება „საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ურღვევი მეგობრობა“ გააკეთა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ა. ა. ანდრეევმა.

სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა მეგობრობაზე აღფრთოვანებით ილაპარაკა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. ჭელიძემ, რომელმაც წარშან რამდენიმე თვე გაატარა ჩინეთში.

პოეტმა ხ. ბერულავამ წაიკითხა ორი დიდი ხალხის მეგობრობისადმი მიძღვნილი ლექსი.

საღამოს მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ჩინელი ქალიშვილის, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტის ლიუ გუან-ვენის გამოსვლას.

საღამო დამთავრდა კონცერტით. (საკადესი).

ბროშურად გამოიცა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობაზე 1959 წლის 27 იანვარს „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ“.

ბროშურა გამოიცა მილიონიანი ტირაჟით. (საკადესი).

ა. წ. 17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 29), გაიმართება **ქ. თბილისის პროპაგანდისტთა, ლექტორთა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა საინსტრუქციო თათბირი.**

თათბირზე მოსმენილ იქნება საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. გ. ა. გეგეშიძის მოხსენება — „სკკპ XXI ყრილობის შედეგებისა და პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანების შესახებ“.

პრემიები კარგი მუშაობისათვის

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ ფლის მეოთხე კვარტალის გეგმების მაღალი მაჩვენებლებით შესრულებისათვის პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გმარჯვებულად ცნეს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივი და მიაკუთვნეს მას პირველი პრემია 140 ათასი მანეთის რაოდენობით.

მეორე პრემია 42 ათასი მანეთის რაოდენობით მიეკუთვნა თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის კოლექტივს, ხოლო მესამე პრემია 7,5 ათასი მანეთი — ბათუმის კოფეინის ქარხანას.

დმანისელ კოლმეურნეთა სიტყვა

1965 წელს 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე ვაწარმოებთ 100 ცენტნერ ხორცსა და 370 ცენტნერ რძეს

დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც უკანასკნელ ხუთ წელიწადში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის და გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს რძის, ხორცის წარმოების გადიდებაში, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებასა და საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის განმტკიცებაში, იკისრეს შემდეგი ახალი ვალდებულებები:

1959 წელს — შვიდწლედის პირველ წელს — ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე ვაწარმოებთ 45 ცენტნერ ხორცს, ანუ 2-ჯერ მეტს, ვიდრე 1958 წელს, და 165 ცენტნერ რძეს, ანუ 1,4-ჯერ მეტს.

კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობას კოლმეურნეობებში 1965 წელს ავიყვანთ 18.000 სულამდე, მათ შორის ძროხის სულადობას — 8.000 სულამდე; ღორის სულადობას — 8.000 სულამდე, მათ შორის დედა ღორებისას — 1.200 სულამდე; ცხვრის სულადობას — 60.000 სულამდე, ფრინველის სულადობას — 250.000 ფრთამდე.

საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობას გავადიდებთ კოლმეურნეობებში 2.600 კილოგრამამდე. ხოლო საბჭოთა მეურნეობაში — 4.200 კილოგრამამდე.

1965 წლისათვის სასილოსე სიმინდის ნათესების ფართობს ავიყვანთ 3.000 ჰექტარამდე, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების ნათეს ფართობს — 4 ათას ჰექტარამდე, ხოლო სიბიდან მოვხსნით 15 ათას ცხვარსა და 20.000 ფრთა ფრინველს.

საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობას ავიყვანთ კოლმეურნეობებში 2.000 კილოგრამამდე, ხოლო ბაშკიჩეთის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაში — 3.500 კილოგრამამდე.

შვიდწლედის დამლევისათვის — 1965 წელს ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე ვაწარმოებთ 100 ცენტნერ ხორცსა და 370 ცენტნერ რძეს, 1958 წელთან შედარებით ხორცის წარმოებას გავადიდებთ 4-ჯერ და მეტად, ხოლო რძის წარმოებას — 3,2-ჯერ.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობას კოლმეურნეობებში 1965 წელს ავიყვანთ 18.000 სულამდე, მათ შორის ძროხის სულადობას — 8.000 სულამდე, ღორის სულადობას — 8.000 სულამდე, მათ შორის დედა ღორებისას — 1.200 სულამდე; ცხვრის სულადობას — 60.000 სულამდე, ფრინველის სულადობას — 250.000 ფრთამდე.

საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობას გავადიდებთ კოლმეურნეობებში 2.600 კილოგრამამდე. ხოლო საბჭოთა მეურნეობაში — 4.200 კილოგრამამდე.

1965 წლისათვის სასილოსე სიმინდის ნათესების ფართობს ავიყვანთ 3.000 ჰექტარამდე, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების ნათეს ფართობს — 4 ათას ჰექტარამდე, ხოლო სილოსის დამზადებას — 90 ათას ტონამდე.

რაიონის ცალკეულმა მოწინავე კოლმეურნეობებმა უფრო მაღალი ვალდებულებები იკისრეს. სოფელ ჯავახის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. ოქრიაშვილი) ვალდებულება იკისრა 1959 წელს ას ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოოს 70 ცენტნერი ხორცი და 200 ცენტნერი რძე, წველადობა საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე აიყვანოს 2.500 კილოგრამამდე, გაასუქოს და სახელმწიფოს მიჰყიდოს 80 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 500 სული ცხვარი და 120 ღორი, კოლმეურნეთაგან შეისყიდოს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 70 სული მოზარდეული ზრდის დასამთავრებლად და გასასუქებლად. **1965 წელს 100 ჰექტარ მიწაზე აწარმოოს 140 ცენტნერი ხორცი და 390 ცენტნერი რძე.**

სოფელ უსეინ-ქენდის გორკის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. გულიევი) ვალდებულება იკისრა წელს ხორცის წარმოება ას ჰექტარზე აიყვანოს 45 ცენტნერამდე, რძისა — 325 ცენტნერამდე და წველადობა საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე — 2.600 კილოგრამამდე; გაასუქოს 80 ღორი. კოლმეურნეთაგან შეისყიდოს ზრდის დასამთავრებლად და გასასუქებლად 60 სული მოზარდეული. **1965 წელს 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოოს 110 ცენტნერი ხორცი და 400 ცენტნერი რძე.**

სოფელ დმანისის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე კ. სიტნიკოვი) ვალდებულება იკისრა 1959 წელს ას ჰექტარ მიწაზე აწარმოოს 50 ცენტნერი ხორცი და 200 ცენტნერი რძე, საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღოს 2.200 კილოგრამი რძე; სუქებიდან მოხსნას 110 სული ღორი. **1965 წელს ას ჰექტარ სავარგულებზე მიიღოს 150 ცენტნერი ხორცი და 400 ცენტნერი რძე.**

ბაშკიჩეთის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ტ. არჩვაძე) კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 1959 წელს პირუტყვის სულადობა აიყვანოს 1.200 სულამდე, მათ შორის ძროხისა — 400 სულამდე, საშუალოდ ერთი საფურაჟე ძროხის წველადობა — 3.500 კილოგრამამდე; ას ჰექტარ მიწაზე აწარმოოს 400 ცენტნერი რძე, 15 პროცენტით შეამციროს ცენტნერი ხორცის თვითღირებულება და 20 პროცენტით — ცენტნერი რძის თვითღირებულება.

დმანისის რაიონის მშრომელებმა ვალდებულებათა წარმატებით შესრულების საქმეში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოძმე სომხეთის სს რესპუბლიკის კალინინის რაიონი და საქართველოს სსრ წალკის რაიონი.

ვალდებულებანი განხილული და ერთხმად მიღებულია დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებები — მასებში

...რომ მგზნებარე სიტყვებმა აღანთოს გულები

> გული აივსე
> ახალ ხალისით,
> გახდი ლაღი და
> უფრო მგზნებარი,
>
> აი, მაღლდება
> სოციალიზმი —
> ვით სინამდვილე
> ნაოცნებარი.
>
> ᲕᲚ. ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ

მართალი სიტყვის ოსტატი

პროპაგანდისტი ნინო მიქელაძე

• • •

აი უკვე თხუთმეტი წელია, რაც ნინო მიქელაძე თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში პროპაგანდისტად მუშაობს. მას უყვარს თავისი მშობლიური საწარმო. იგი ხომ აქ დაიბადა, როგორც ინჟინერი, აქ გაიარა გზა რიგითი მქსოველიდან. უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტამდე.

ნინოს კარგად ახსოვს, რა უნარიანად ათავსებდა წარმოებაში მუშაობას მოსკოვის საფიეჭრო ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე სწავლასთან. შრომასა და სწავლაში გადიოდა წლები, და აი მალე ნინო ინჟინერ - ტექნოლოგი გახდა.

უყვარს ნინოს თავისი პროფესია. მაგრამ მეორე პროფესია — პროპაგანდისტობა — არანაკლებ საყვარელი, არანაკლებ კეთილშობილურია. ფაბრიკაში ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეს, რომელშიც 20 მსმენელია გაერთიანებული, აქედან 15 კომუნისტი და კომკავშირელია. ამ წრის წარმატება გადაწყვიტა პროპაგანდისტის მომზადებამ, მისმა უნარმა განსაზღვროს ძირითადი საკითხები, გამოიყენოს მხატვრული ლიტერატურა და თვალსაჩინოებანი, დაუკავშიროს თეორია საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას.

ახლა მსმენელთა აქტივობა! ესეც ხომ უმთავრესია, რასაც ნინო თავის მუშაობაში შესანიშნავად აღწევს...

პარტიის XXI ყრილობის მუშაობის ისტორიულ დღეებში მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილი იყო მოსკოვისაკენ, სადაც წყდებოდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიდებული ამოცანები. პროპაგანდისტის მუშაობას ფართო გასაქანი მიეცა. იმ დღეებში ნინოს ხშირად ნახავდით ფაბრიკის საამქროებში, სადაც ხვდებოდა თავის მსმენელებს, ესაუბრებოდა შვიდწლედის გრანდიოზულ პერსპექტივებზე, იმ ამოცანებზე, რომლებიც თვით საწარმოს წინაშე დგას.

ნინომ რამდენიმე მეცადინეობა მიუძღვნა პარტიის XXI ყრილობის მასალებს. ეცნობა. ხანდახან სახეზე ღიმილი გადაურბენს. დიდებული პერსპექტივებია!

იგი გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილ ყრილობის რეზოლუციას ჩასცქერის, ცდილობს თვითეულ სტრიქონს ჩასწვდეს, გონებაში ჩაიბეჭდოს.

თამარმა დაკვირვებით წაიკითხა რეზოლუციიდან ერთი ადგილი: „პარტიამ გაბედულად და მწვავედ გააკრიტიკა წარსულში სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში არსებული შეცდომები და ნაკლოვანებები“. წაიკითხა და თვალწინ წარმოუდგა თავისი სოფლის განვლილი წლები, ის დიდი გარდატეხა, რაც ამ წლების მანძილზე განხორციელდა.

თითქოს გუშინ იყო... კაჭრეთელ კოლმეურნეებს მარცვლეულის წარმოების არარეალური გეგმა დაუსახეს. კოლმეურნეები ხორბალს თესავდნენ, ნათესიდან კი თესლსაც ვერ იღებდნენ. პარტიის ღონისძიებამ დაგეგმვის ახალი წესის შესახებ უფლება მისცა კოლმეურნეებს თვითონ წარმართონ და დაგეგმონ თავიანთი მეურნეობა. ამის შედეგად სწრაფად განვითარდა მევენახეობა. მაღლიან მიწაზე ფართოდ გაიდგა ფესვი ვაზმა. ხუთი წლის წინათ ქიროვის სახელობის კოლმეურნეობას ორმოცამდე ჰექტარი ვენახი ჰქონდა, ახლა კი 100 ჰექტარზე მეტი აქვს. შარშან მევენახეობიდან ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღეს.

ეს რომ გაიფიქრა, ახლა სოფლის მოწინავე ადამიანები წარმოუდგა თვალწინ. ხოლო ისინი ერთეულები როდი არიან. ისე, როგორც ყოველ ქალაქსა და სოფელს, კაჭრეთსაც ჰყავს თავისი სახელოვანი ადამიანები, შრომის გმირები, რომელთა მარჯვენამ არ იცის დაღლა სამშობლოს საიდიდებლად, ხალხის საკეთილდღეოდ.

— ამათ შესახებ, უთუოდ, უნდა დავწერო გაზეთში, დაე, იცოდეს ყველამ მათი მარჯვენის ძალის შესახებ, — მიიღო გადაწყვეტილება აგიტატორმა.

ასე შრომობს და ემზადება ყოველი საუბრისათვის აგიტატორი თამარ ლაზაშვილი. მას აგიტატორის სახელოვანი გზა აქვს განვლილი. ოცი წელი, ოცი გაზაფხული გავიდა მას აქეთ, რომ მან პირველი საუბარი მოაწყო.

ოცი წელი — ითოლად ითქმება!.. რამდენი შრომა გაუწევია, რამდენი ღამე გაუტეხავს, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობასთან ერთად ჩამორჩენილი ბრიგადა მოწინავეთა დონემდე აემაღლებინა.

აგიტატორს დიდხანს აწუხებდა გამრჯე ქალის ე. სიმონიანის ბედი. მას ქმარი სამამულო ომში დაეღუპა.

— პირველ რიგში სიმონიანის ოჯახს უნდა დავეხმაროთ, — ეუბნებოდა თამარი ყველას — კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, პარტბიუროს მდივანს, გამგეობის წევრებს, და თვითონ პირველი მიდიოდა დასახმარებლად: ქვრივ ქალს საკარმიდამო ნაკვეთს უხნავდნენ, უთესავდნენ. ასე იყო ყოველთვის, ყოველ წელიწადს... შარშან კი სიმონიანს ქვითკირის სახლი აუშენეს.

სოფელს წყალი სჭირდება. ქუჩები შესაკეთებელია. ქიტოანთ უბანში საჭიროა გაიხსნას სავაჭრო მაღაზია, მეცხოველეობის ფერმაში კი — წითელი კუთხე... აგიტატორის მოწოდება ყველგან ისმის: კოლმეურნეობის კანტორაში, სასოფლო საბჭოში. მაგრამ მისი მოთხოვნა იოლად, უმტკივნეულოდ როდი სრულდება. შარშან თამარი ქიტოანთუბნელებისათვის მაღაზიის გახსნის თაობაზე კოოპერატივის თავმჯდომარეს ესუმრა.

— ადამიანო, რა თავი მოგვაბეზრე, თითქოს ხალხისათვის მარტო შენ შეგტკივა გული! შენ სკოლას მიხედე, ჩვენ კი, თუ საჭირო იქნება, მაღაზიას გავხსნით, — უკმეხად უპასუხა თავმჯდომარემ.

— ვინც ხალხისთვის ფიქრობს, აგრე არ იქცევა, — ეს უთხრა და კარი გამოიხურა.

მთელ ღამეს არ უძინია. შფოთავდა. გათენებისას წამოდგა. იცოდა, მდივანი დილაადრიან გადიოდა მინდვრებში. რაიკომის წინ დაუხვდა. მდივანი თავაზიანად შეხვდა, გულდასმით მოუსმინა. დახმარებას დაპპირდა. მართლაც წელს ქიტოანთუბნელებმა ახალი მაღაზია მიიღეს. კოლმეურნეებს საკვაროდ შორს წასვლა აღარ უხდებათ.

აგიტატორს ბევრჯერ ამა თუ იმ საქმეზე უარსაც ეუბნებიან, გული კი არასოდეს არ გაუტეხია, არც ხელი ჩაუქნევია. ბოლოს და ბოლოს მიზანს ყოველთვის აღწევს.

2.

რაიკომის მდივანი მოხუც კოლმეურნეს, ძველ ბოლშევიკს კაბინეტის კართან მიეგება.

—რა გაგჭირვებია, ძია გიორგი!

— სოფელმა გამომგზავნა. — ერთხანს გაჩუმდა, ცდილობდა სიტყვები კარგად მოეფიქრებინა, — თამარ მასწავლებელს ქმარი სამამულო ომში დაეღუპა... უსახლკაროდ არის.. ხალხისათვის ზრუნავს, თვითონ კი...

— მართალი ხარ, ძია გიორგი.

— საშენი მასალით დაეხმარეთ, დანარჩენი ჩვენზე იყოს.

...ივნისის ცხელი დღეები იყო. კაჭრეთის სასოფლო საბჭოს გვერდით გაცხოველებით მიმდინარეობდა სახლის მშენებლობა. თამარ მასწავლებლის ყოფილი მოსწავლეები — კალატოზები ძმები ზურაბ და ზალვა ქიტოშვილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კედლების ამოყვანაში. მათთან ერთად გულდაგულ მუშაობდა დურგალი, თამარის ყოფილი მოსწავლე ოთარ ქიტოშვილი. მასწავლებლის სახლის მშენებლობაში მთელმა სოფელმა ხალისით მიიღო მონაწილეობა. მშენებელთა შორის დაფუსფუსებდა და ენერგიის დაუზოგავად შრომობდა მოხუცი გიორგი. ძველი ბოლშევიკი ახალისებდა მუშებს, შესვენების დროს მოუთხრობდა გურჯაანელ და სიღნაღელ ბოლშევიკთა სახელოვან საქმეებზე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ თამარ ახალ ბინაში შესახლდა. ეს მარტო მისი კი არა, მთელი სოფლის სიხარულიც იყო. აგიტატორი მეოცე გაზაფხულს ახალ ორსართულიან სახლში გაატარებს.

... აგიტატორი ენატკბილად მოუთხრობდა. ნახატი ი. ჭოჭიაშვილისა.

3.

როგორც კი გაკვეთილებს მორჩა თამარი, მეცხოველეობის ფერმისაკენ გაეშურა. ღამით იმდენი თოვლი მოვიდა, რომ ადამიანები საცალფეხო ბილიკზე ძლივს მიიკვლევდნენ გზას. ფერმაში ზოგიერთს იმედი დაეკარგა: დიდი თოვლია და აგიტატორი არ მოვაო.

მაგრამ როგორ გაუხარდათ, როცა ფერმაში მათთან აგიტატორი შემოვიდა. ხელში ახალი გაზეთი ეჭირა. კართან თოვლი დაიბერტყა და დამხვდურთ გულთბილად მიესალმა. მწყემსებმა წითელ კუთხეს მიაშურეს. იგი კარგად გაეთბოთ მორიგე მწყემს გოგონებს. წითელი კუთხე საარჩევნო ლიტერატურით გამდიდრებინათ, ახალი დიაგრამებიც გაეკრათ.

— ყველას მშობლიური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებები გვაინტერესებს, — მიმართავს აგიტატორს მწველავი გოგონა ნათელა ბაცანაძე.

— განა არ ვიცი რაც გაინტერესებთ, ჩემო ნათელა? — ღიმილით მიუგებს აგიტატორი.

ნათელამ შარშან ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა. თამარ მასწავლებლის რჩევით პირდაპირ კოლმეურნეობაში მოვიდა. მასთან ერთად კოლმეურნეობაში სამუშაოდ მოვიდნენ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ნაიმა სოლოღაშვილი, ნათელა კუპრაშვილი, ჰ. მარიაშვილი და სხვები.

— ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ამაღლდა მოზარდი თაობის კომუნისტური შეგნება, შრომისადმი სიყვარული. ამის პრაქტიკულ დადასტურებას ჩვენი თვალით ვხედავთ. საკოლმეურნეო შრომაში ასობით ახალგაზრდა ჩაება, მათ შორის ხართ თქვენც, ჩემო მეგობრებო, — ეუბნება თამარი გოგონას და თავზე ხელს უსვამს, — აბა როგორ უპასუხებ ყრილობას, როგორ არიან შენი ხბოები.

— ჩემი ბოჩოლები ყოველდღიურად იზრდებიან. ყველა ისეთი ლამაზი და მშვენიერია, რომ...

— იმედი მაქვს მასახელებ. ალმრიცხველს უთხარი წველადობის ჟურნალი მომიტანოს.

გოგონა სწრაფად გატრიალდა, ნიბებენ ფიჭვს ან ნაძვს, ჩვენთან კი — კაკასიურ სოჭს. როგორია მათი ეკონომიური შედეგები: 100 ათასი კუბმეტრი სოჭის მასალა ცელულოზის გამოსაყენებლად ეფარდება 78.800 კუბმეტრ ნაძვს, მაშ, ცელულოზის სახარშავად ნაძვის მასალის გამოყენება მომგებიანი საქმეა.

შვიდწლიანი გეგმით ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის განვითარებას. 1965 წლისათვის გამოშვებული იქნება 2,8-ჯერ მეტი ცელულოზი და 1,6-ჯერ მეტი ქაღალდი, ვიდრე 1958 წელს, გაიზრდება მუყაოს წარმოება.

საბჭოთა ხალხი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა შვიდწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებას. ცუდად არ დავიწყეთ ჩვენც — მექანიზაციებმაც შვიდწლედის პირველი წელი. ამოცანაა არ შევჩერდეთ მიღწეულზე.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ

ᲔᲠᲗ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ

... საღამოა. ოთახში მაგიდაზე აწყვია ბროშურები, გაზეთები, ჟურნალები. ახალგაზრდა კაცი მაგიდას უზის და ემზადება მორიგი მეცადინეობისათვის, რომელის თემაა „რენტაბელობა კომბინატის კოლექტივის საბრძოლო ამოცანაა“.

დახედავს რა ბლოკნოტს, რომელშიც შეუტანია შენიშვნები ენგურის ქაღალდის კომბინატის საქმეებზე, პროპაგანდისტი დაკვირვებით დასცქერის კონსპექტს. იგი ამ კონსპექტით ხვალ, ერთხელ კიდევ წარდგება მსმენელთა წინაშე.

* * *

ღამაზი, მრავალფანჯრიანი შენობის ნათელ ოთახში ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ აქ პერიოდულად სწავლობენ. ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის კომუნისტები და უპარტიო ამხანაგები ეუფლებიან წარმოების კონკრეტულ ეკონომიკას. ან დღესაც, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, დანიშნულია თეორიული სემინარის მორიგი მეცადინეობა. მსმენელები უკვე შეკრებილნან. აქვეა პროპაგანდისტიც — მექანიკოსი და ენერგეტიკის განყოფილების უფროსი ინჟინერი შოთა ჯანჯღავა.

— როგორც იცით, — დაიწყო მან, — ჩვენი დღევანდელი მეცადინეობის თემაა „რენტაბელობა კომბინატის კოლექტივის საბრძოლო ამოცანაა“. საწარმოო გეგმების შესრულებაში ერთგვარ წარმატებათა მიუხედავად, ჩვენი წარმოება ჯერჯერობით ზარალიანია.

როდემდე შეიძლება შევურიგდეთ ამ არანორმალობას? რენტაბელობის საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია.

ისახება ზოგიერთი რეზერვი. ჩვენთან შენდება საფუარის ქარხანა, რომელიც პროექტის თანახმად კომბინატს მისცემს ასეულობით ტონას მანეთ შემოსავალს. შეუფუღეთ ორთქლის ქვაბების გადაყვანას თხევად საწვავზე, რითაც დავძლევთ ქვანახშირის შემოზიდვასთან დაკავშირებულ საძნელებებს. მაზუთის გამოყენება წყლის ასადუღებლად დიდად შეამცირებს ზარალს.

ქაღალდისმკეთებელ მანქანაზე მუყაოს გამოშვების ათვისებაც საგრძნობ მოგებას მოგვცემს. დიდი ღონისძიება იქნება ფოთლოვანი ჯიშის ხეების ხარშვა საცელულოზედ. საკმარისია აღინიშნოს, რომ თუ კი შევძლებდით ცელულოზის ხარშვას 100-პროცენტიანი თხმელის ხისაგან მიღებული მასალით, დანაკარგები თითქმის ორჯერ შემცირდებოდა.

საკვირველია, — აღნიშნავს პროპაგანდისტი, — ჩვენი ქვეყნის შორეული კუთხეებიდან შემოზიდული ცელულოზი 25 პროცენტით ნაკლებად ფასობს ადგილობრივთან შედარებით. საერთოდ მიღებული, რომ ერთი ტონა ცელულოზის მისაღებად საჭიროა 4,7-4,9 კუბმეტრი ხე-ტყე. ენგურის კომბინატში კი იგი 5,7 კუბმეტრს შეადგენს. რატომ? ყველა კომბინატში ცელულოზის სახარშად იყენებენ ფიჭვს ან ნაძვს, ჩვენთან კი — კაკასიურ სოჭს. როგორია მათი ეკონომიური შედეგები: 100 ათასი კუბმეტრი სოჭის მასალა ცელულოზის გამოსაყენებლად ეფარდება 78.800 კუბმეტრ ნაძვს, მაშ, ცელულოზის სახარშავად ნაძვის მასალის გამოყენება მომგებიანი საქმეა.

შვიდწლიანი გეგმით ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობის განვითარებას. 1965 წლისათვის გამოშვებული იქნება 2,8-ჯერ მეტი ცელულოზი და 1,6-ჯერ მეტი ქაღალდი, ვიდრე 1958 წელს, გაიზრდება მუყაოს წარმოება.

საბჭოთა ხალხი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა შვიდწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებას. ცუდად არ დავიწყეთ ჩვენც — მექანიზაციებმაც შვიდწლედის პირველი წელი. ამოცანაა არ შევჩერდეთ მიღწეულზე.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ

ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ..ᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲐᲙᲚᲓᲐ. Ქ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲨᲘ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲠᲗᲝᲑᲘᲗ ᲘᲙᲘᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲔᲑᲘ...

— თითქმის ყველა მოსულია, შეიძლება დავიწყოთ, — მიმართა მილსგლინავი საამქროს პარტბიუროს მდივანმა ს. ქუთელიამ აგიტატორ ვ. მერაბიშვილს. ეს უკანასკნელი ქარხანაში მისი დაარსებიდან მუშაობს. გლინვის ოსტატია, ყოველთვიურად ათობით ტონა ზეგეგმით პროდუქციას აძლევს სამშობლოს. საამქროში საუკეთესო აგიტატორადაც ითვლება.

— ამხანაგებო, — დაიწყო მან, — როგორც თქვენთვის ცნობილია, პარტიის XXI ყრილობამ მოისმინა და განიხილა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება და მიიღო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი პროგრამა.

უახლოეს შვიდ წელიწადში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობასთან ერთად დასახულია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. მოდით დღევანდელი საუბარი ამ საკითხს მივუძღვნათ.

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, ვიცით და ყოველდღიური კონკრეტული მაგალითებითაც ვხედავთ, რომ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას არა აქვთ სხვა ინტერესი, გარდა მშრომელთა ინტერესებისა. ხალხის კეთილდღეობის შემდგომი განუწყვეტელი გაუმჯობესება საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონია.

ჩვენი მშობლიური პარტია კვლავ უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებს ჩვენი ხალხის უკეთესი მომავლისათვის.

ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲒᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1965 ᲬᲚᲘᲡ 1958 ᲬᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲖᲚᲘᲡ 62-65 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲒᲐᲓᲔᲓᲔᲑᲐ. ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲓᲝᲛᲘᲗᲐᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲬᲚᲝᲛᲓᲔ 40 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ. ᲔᲡ ᲫᲘᲠᲗᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ, ᲘᲡᲔ ᲙᲒᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ. ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲗᲘᲗ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲕᲘᲠᲘᲗ ᲓᲦᲔ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ

პარტიის, მთავრობისა და ხალხის ერთიანობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება

მშრომელთა მრავალრიცხოვან წინასაარჩევნო კრებებზე დიდი პოლიტიკური და პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში გრძელდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება.

თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — 25 თებერვლის № 15 საარჩევნო ოლქში დაასახელა ქარხნის უპარტიო მუშა ამხ. **ნატალია ნიკოლოზის ასული ბერბიჭაშვილი.**

ქარხანა „ელექტროავტომატის“ კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — სამრეწველო № 34 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კომპარტიის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **ვიქტორია მოხეს ასული სირაძე.**

ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — ქუთაისის № 11 საარჩევნო ოლქში დასახელებულია მშრომელთა დეპუტატების სტალინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ბარბალე ნიკოლოზის ასული გრიგალაშვილი.**

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. **ნინო შალვას ასული რამიშვილი,** კუთრატოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივმა დასახელა დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის — ბარათაშვილის № 35 საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ამხ. **ვასილ დავითის-ძე გოძიაშვილის** კანდიდატურა დაასახელა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინგორის № 367 საარჩევნო ოლქში დასახელეს პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **კონსტანტინე გიორგის-ძე თვალაშვილი.**

სოფელ ზნაურის კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზნაურის № 365 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს პარტიის ზნაურის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. **გიორგი იოსების-ძე ძაგიევი.**

სოფელ ერმანისა და ჯავის რაისატყეო მეურნეობის კოლექტივმა თავის წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჯავის № 363 საარჩევნო ოლქში დაასახელა ჯავის რაიონის სოფელ ერმანის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი ამხ. **თამარ ვასილის ასული თიბილოვა.**

ხალმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა ბათუმის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობაში. კრების მონაწილეებმა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კახაბერის № 347 საარჩევნო ოლქში დაასახელეს მწველავი **პაჯერ ოსმანის ასული ბერიძე.**

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების დასახელება

დიდი აქტივობით მიმდინარეობს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ქარხნის პარტკომის მდივანი **დ. გ. აბუთიძე,** ზეინკლები **დ. დ. ამირანაშვილი, ნ. ი. აბიაშვილი,** ძალურ დანადგართა უფროსი **ნ. ქ. მიქაშავიძე.**

თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ კოლექტივმა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ფაბრიკის დირექტორი **ა. ე. ანტონოვი,** საუკეთესო მუშები **მ. მ. მაისურაძე** და **მ. ა. აისინა.** თბილისის ბამბის სართავი ფაბრიკის კოლექტივმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა მოწინავე მუშა და აქტიური საზოგადო მუშაკი **ლ. მ. სეტისოვა.**

66-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივმა განიხილა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატობა დასახელების საკითხი და გადაწყვიტა ნდობა გამოუცხადოს სკოლის დირექტორს **მ. ი. მახარაძეს** და კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანს სკოლების დარგში **ნ. პ. პეტრიაშვილს.**

რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **დ. კ. ანთაძე.**

ქარხანა „ელექტროავტომატის“ კოლექტივის კრებაზე მიღებულია გადაწყვეტილება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულ იქნან ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **ზ. მ. რუხაია** და ამ ბრიგადის წევრი **ა. ი. გაშმოვა.**

თბილისის № 1 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმების, მედიცინის დებისა და სანიტარული მუშაკების წინასაარჩევნო კრებამ დაადგინა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას პოლიკლინიკის დირექტორი **ტ. ა. მაკალათია.**

თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორების, მასწავლებლების, სტუდენტებისა და მოსამსახურეების კრებამ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ინსტიტუტის დირექტორი **გ. ა. ტალიაშვილი.**

(საქდესი).

წერილები რედაქციას

ეს დიდი ეროვნული საქმეა

ხალხური შემოქმედება მუდამ წარმოადგენდა იმ დაუშრეტელ წყაროს, რომელიც საფუძვლად ედო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების შექმნას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსული საოპერო ხელოვნების ფუძემდებელი კომპოზიტორი მ. გლინკა, დიდი ქართველი კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი და სხვები ხალხურ მუსიკაზე დაყრდნობით ქმნიდნენ თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ხალხური ვოკალური მუსიკა უფრო ადრე ჩაისახა და განვითარდა, ვიდრე საკრავისეული მუსიკა, საერთოდ მაინც საკრავებს უდიდესი როლი ენიჭებოდა ხელოვნების ამ დარგის აღორძინებასა და ახალი მუსიკალური ფორმების წარმოშობა-განვითარების სფეროში. ძნელი წარმოსადგენია მუსიკალური ფორმების: ეტიუდის, ნოკტიურნის, სკერცოს, რაფსოდიის, სონატის, სიმფონიის, კონცერტის წარმოშობა, რომ მათ წინ არ წასძღოლოდათ სათანადო საკრავების ჩამოყალიბება და ტექნიკურად განვითარება.

ხალხური საკრავებიც ხომ უდიდეს გავლენას ახდენენ ხალხური ვოკალური მუსიკის განვითარებაზე, განსაკუთრებით კუპლეტური სიმღერების და საცეკვაო მელოდიების შექმნაზე. მაგრამ თუ ხალხური საკრავები ტექნიკურად ჩამორჩენილი აღმოჩნდნენ, მათი დიაპაზონები და ტონალობათა შესაძლებლობანი შეზღუდულნი, ბუნებრივია, რომ ასეთი საკრავები აფერხებენ ხალხური მუსიკალური შემოქმედების შემდგომ განვითარებას. სამწუხაროდ, ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი ამ უკანასკნელ ხანებში ფანდურისა და ჩონგურის მხრივაც, რამაც უარყოფითი დაღი დასვა ქართული საბჭოთა მახობრივი სიმღერებისა და საცეკვაო მელოდიების შემდგომ განვითარებას. ქართული ხალხური მუსიკა მოექცა უცხოეთიდან შემოპრწალი მუსიკის არახასურველ გავლენაში, განსაკუთრებით აკორდეონისა და გიტარის მეშვეობით. **ამიტომ ჩვენი ახალგაზრდობის საშემსრულებლო ხელოვნებაში გაბატონდა არა ეროვნული სტილი, არამედ უხეირო წამბაძველობა.**

მწვავედ დადგა საკითხი ქართული ხალხური საკრავი მუსიკალურ-ტექნიკური შესაძლებლობათა შემდგომი განვითარებისა, რომ შენარჩუნებულ იქნას ქართული ხალხურ საკრავთა დამახასიათებელი ხალხური ტემბრი, დაკვრის ხერხები და საკრავების ფორმა.

ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯი იყო გადადგმული ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის შექმნით, რომელიც ბოლო ხანებში წარმატებით მუშაობდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლთან, მაგრამ რატომღაც სრულიად მოულოდნელად შეწყდა ამ ორკესტრის არსებობა.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის კვლავ აღდგენა როგორც დამოუკიდებელი კოლექტივისა, რომ პრაქტიკულად შესაძლებელი გახდეს ნაწილობრივ იმ ხარვეზების შევსება, რომლებიც ქართულ ხალხურ საკრავებს აქვთ. ჩვენი მუსიკის მოღვაწეებმა ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ ამ ორკესტრს ახალი ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

პოეტი-აკადემიკოსი **ი. გრიშაშვილი;** მწერლები: **კ. ლორთქიფანიძე, პ. ბაბალეგრიძე, ბ. ჩხეიძე;** კომპოზიტორები: **გრ. კოკინაძე, რ. ლაღიძე, დ. თორაძე, რ. გაბიჩვაძე, ა. შავგულაშვილი, ს. ცინცაძე, ნ. გუდიაშვილი, შ. მილორავა, მ. ჩიქინაშვილი.**

რატომ არ გვაქვს „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“

თანამედროვე ქართველ მკითხველს ხშირად გვხვდება უცხო სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ხელს უშლიან აზრის სწორად გაგებაში „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ უქონლობის გამო.

რამდენიმე ათეული წლის წინათ ქართულად გამოიცა იოსებ იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, ხოლო უფრო გვიან გიორგი აბულეფინის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, რომლებმაც თავის დროზე კარგი სამსახური გაუწიეს ქართველ მკითხველებს. დღეს ეს ლექსიკონები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ.

საჭიროა რაც შეიძლება მალე გამოიცეს ქართულ ენაზე „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ ახალი სრული გამოცემა.

ო. ბეჟდლიძე,

ქარელის რაიონი, სოფელი რუისი.

ცარიელი თაროები

სოფელი ჭალოვანი ძალიან დაშორებულია საჩხერეს. იგი ზამთრობით მოწყვეტილია რაიონულ ცენტრს, ამიტომ რაიკოოპერატივმა ადრე უნდა შეშოდოს ჭალოვანში ფართო მოხმარების საგნები. სამწუხაროდ, ამას ვერ ახერხებენ. მაღაზიაში აქამადაც არ არის პირველი მოთხოვნილების საგნები და მოსახლეობას ძალიან შორი მანძილიდან უხდება მათი მოტანა.

როცა ამის გამო მომხმარებლები საყვედურს გამოთქვამენ, მაღაზიის გამგე-გამყიდველი პ. შუბითიძე უპასუხებს, „რა ვქნა, რაიკოოპერატივმა საქონელი არ შეშოდიდა და მე რას ვიზამ“.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაღაზია ხშირად სამუშაო საათებში დაკეტილია. ერთ-ერთ კვირადღეს მაღაზიის გაღებას ხალხი დიდხანს უშედეგოდ ელოდა, გამგე-გამყიდველი პ. შუბითიძე კი ამ დროს სათევზაოდ იყო წასული.

ლ. ტეფნაძე,

„კომუნისტის“ სოფლკორი.

ერთ აგიტპუნქტში

თბილისის ლენინის რაიონის 32-ე საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში, რომელიც მოთავსებულია პლეხანოვის სახელობის კლუბში, ოქტომბრის ქ. № 26, ყოველდღე მრავალი ამომრჩეველი იყრის თავს. აგიტპუნქტის გამგე ბ. პაიჭაძე პოპულარობით სარგებლობს ამომრჩეველთა შორის. იგი მიმზიდველ, შინაარსიან საუბრებს აწყობს არჩევნებისათვის მზადების დღეებში.

აგიტკოლექტივი ბევრ ღონისძიებას ახორციელებს. ეწყობა ლექციები და კითხვა-პასუხის საღამოები.

აღსანიშნავია აგიტატორ ვ. გუგუშვილის მუშაობა. იგი სისტემატურად მიდის ამომრჩევლებთან ბინაზე და ესაუბრება მათ პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებზე, შვიდწლედის დიად ამოცანებზე. კარგად მუშაობენ აგრეთვე აგიტატორები ნ. შავგულიძე, ნ. ივანოვი, ს. ფილიევა და სხვ.

• • •

სურათზე: 32-ე საარჩევნო უბნის აგიტპუნქტის გამგე ბ. პაიჭაძე ესაუბრება ამომრჩეველს.

ტექსტი და ფოტო **გ. გოგოხიასი.**

თავიდან ავიცილოთ ატომური ომის საფრთხე

საბჭოთა საზოგადო მოღვაწეების წერილი ევროპის ატომური განიარაღების კონგრესის ორგანიზატორებისადმი

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დავალებით სსრ კავშირის საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა 13 თებერვალს წერილი გაუგზავნა ბერტრან რასელს, კანონიკ ლუის ჯ. კოლინზს, მწერალ ჯ. პრისტლის და ევროპის ატომური განიარაღების კონგრესის სხვა ორგანიზატორებს. ეს კონგრესი მიმდინარე წლის იანვარში მოეწყო ლონდონში.

წერილში აღნიშნულია, რომ საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს კონგრესის შედეგების გამო, რომელმაც ასახა ხალხთა შეშფოთება ატომური საფრთხის გამო. საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტი, ნათქვამია წერილში, სრულ სოლიდარობას უცხადებს ლონდონის კონგრესის მონაწილეებს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის, უატომო ზონების შექმნის საკითხებში და მხარს უჭერს იდეას, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე მოწვეულ იქნას მსოფლიო კონგრესი ატომური განიარაღებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და ინგლისის საზოგადოებრიობას შორის უკეთესი ურთიერთგაგების მიზნებს ხელს შეუწყობდა აზრთა გაზიარება ორგანიზაციას „ლაშქრობა ატომური განიარაღებისათვის“ და საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტს შორის ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის, მისი გამოცდის შეწყვეტის საკითხებში.

წერილს ხელს აწერენ:

ნ. ტიხონოვი, ა. კორნეიჩუკი, ი. ერენბურგი, ა. ნესმეიანოვი, მ. შოლოხოვი, დ. სკობელცინი, დ. შოსტაკოვიჩი, ნ. სემენოვი, მ. კოტოვი, ა. ხუტკოვი, ნ. პოკოვა, მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ზ. ლებედევა, ე. ფედოროვი, ი. გლუშჩენკო, ა. კარევი.

ცნობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა

უკანასკნელ ხანს საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა გაიუქნეს ამერიკისა და თურქეთის დაზვერვათა აგენტების რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც სსრ კავშირში შემოგზავნილი იყვნენ თურქეთის ტერიტორიიდან. საქართველოს სს რესპუბლიკაში შეპყრობილ და დაპატიმრებულ იქნენ ჯაშუში ქუმელა-გილ რიზა აიდინ ოღლი (იგივე რიზა ხაჯი აიდინ ოღლი) და ისა ქამილ ოღლი (იგივე ისა გიუნეშ ქამილ ოღლი). სომხეთის სს რესპუბლიკაში შეპყრობილი არიან ჯაშუშები კაია (იგივე ალაშვილი) მამედ ომარ ოღლი და ტაკჯა (იგივე ჰასანოვი) საფარ აღაბალა ოღლი. თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრის აჭარის უბანზე სასაზღვრო დაცვასთან სროლის დროს მოკლულ იქნა ჯაშუში რეზაკ ჩაუში.

დაპატიმრებულებს ჩამოერთვათ იარაღი, ფოტოაპარატები, ბინოკლები, კომპასები, საზღვარზე მავთულხლართის გადასაჭრელი სპეციალური მაკრატლები და სხვა ჯაშუშური აღჭურვილობა, აგრეთვე საბჭოთა ფულის დიდი თანხები. ქუმელა-გილ რიზა აიდინ ოღლისა და ისა ქამილ ოღლის აღმოაჩინდათ აგრეთვე გულმოდგინედ დამალული წერილობითი დავალებანი ჯაშუშური ინფორმაციის შეკრების შესახებ და ყალბი საბჭოთა პასპორტები მუღაზმ ყურბანის-ძე ბაირამოვისა და ისა ქამალის-ძე საბრიევის სახელზე, რომელთა გამოყენებით მათ უნდა ემოქმედნათ სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

გამოძიებით გამორკვეულია, რომ ქუმელა-გილ რიზა აიდინ ოღლი და ისა ქამილ ოღლი დიდხანს იყვნენ თურქეთის ჟანდარმერიის აგენტები, ხოლო კაია მამედ ომარ ოღლი თურქეთის იმ მოქალაქეთა დაბეზღებას ეწეოდა, რომლებიც აღშფოთებას გამოთქვამდნენ მათს ქვეყანაში ამერიკელთა მოქმედების გამო; ტაკჯა საფარ აღაბალა ოღლი ცნობილია როგორც კონტრაბანდისტი.

ჯაშუშები შეარჩიეს და აიყვანეს თურქეთის სადაზვერვო სამსახურის ყარაქესენისა და ყარსის განყოფილებათა თანამშრომლებმა ალი ბეიმ და ნიზამედინ ბეიმ და წაიყვანეს ქალაქ ანკარის გარეუბანში, სადაც მათ სხვადასხვა დროს წყვილ-წყვილად გაიარეს სპეციალური მომზადება ამერიკელ ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით, რომლებიც მურად ბეის, რეშატ ბეის, ფაიკ ბეის, ნეჯეთ ბეის გამოგონილი სახელებით გამოდიოდნენ.

ამერიკელი მზვერავები ასწავლიდნენ აგენტებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მუშაობის წარმოების მეთოდებს, აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღის სროლას ის საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ გამოსაყენებლად, რომლებიც შეეცდებოდნენ ხელი შეეშალათ ჯაშუშურ დავალებათა შესრულებისათვის.

ამერიკელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ იმას, რომ აგენტებისათვის ეწყვალებინათ საბჭოთა ტერიტორიაზე შეღწევის ხერხები. ამ მიზნით ჯაშუშებს გულმოდგინედ ავარჯიშებდნენ საზღვარზე დაბრკოლებათა ღამით გადალახვაში.

როგორც კაია და ტაკჯამ გამოძიებაზე აჩვენეს, ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის თანამშრომლები გულმოდგინედ სინჯავდნენ ტანსაცმლისა და ჯაშუშური აღჭურვილობის საგნებს — ხომ არ იყო მათზე ამერიკული წარმოების საფბრიკო მარკები, აგრეთვე სასტიკად აფრთხილებდნენ მათ, რომ საბჭოთა კავშირში დაპატიმრების შემთხვევაში არ გაემხილათ ამერიკელების მონაწილეობა მათს მომზადებაში სსრ კავშირში შემოსაგზავნად.

წერთნის შემდეგ ქუმელა-გილ რიზა აიდინ ოღლი, ისა ქამილ ოღლი, კაია მამედ ომარ ოღლი და ტაკჯა საფარ აღაბალა ოღლი საბჭოთა კავშირში შემოგზავნეს იმ დავალებით, რომ შეეკრიბათ ჯაშუშური ინფორმაცია დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტების, სამხედრო ნაწილების დისლოკაციის, სამხედრო აეროდრომების ადგილმდებარეობის შესახებ, აგრეთვე ყოველნაირი გზით ეშოვნათ ნამდვილი საბჭოთა პასპორტები. ამავე დროს მათ უნდა გამოეკვლევინებინათ მორალურად მერყეევი საბჭოთა მოქალაქენი, რათა შანტაჟისა და მოსყიდვის გზით გადაებირებინათ ისინი ძირგამომთხრელი მუშაობისათვის.

ამჟამად ქუმელა-გილ რიზა აიდინ ოღლის, ისა ქამილ ოღლის, კაია მამედ ომარ ოღლის და ტაკჯა საფარ აღაბალა ოღლის მიმართ გამოძიება დამთავრებულია და მათი საქმეები ბრალდებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯაშუშობის შესახებ გადაცემულია სასამართლო ორგანოებში.

ირანის მთავრობის ვერაგული პოლიტიკა

„პრავდაში“ გამოქვეყნდა ცნობა საბჭოთა კავშირ-ირანის მოლაპარაკების შესახებ, რომელიც წარმოებდა თეირანში უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, და საბჭოთა დელეგაციის მეთაურის განცხადება, რომელიც შუქს ფენს იმ არასაკმრის პოზიციის, რასაც დაადგა ირანის მთავრობა, რომელშაც ჩაშალა მისი საკუთარი ინიციატივით დაწყებული მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მონაწილეობა თეირანის მოლაპარაკებაში და მისი მისწრაფება მიეღწია ამ მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვის ახალი დადასტურება იყო სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარეული საგარეო პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია მეზობელ ქვეყნებთან და კეთილად, ირანთან ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში საბჭოთა კავშირის მხრივ განხორციელებულ იქნა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი სსრ კავშირსა და ირანს შორის ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების ინტერესებისათვის. მაგალითად, სსრ კავშირის ინიციატივით ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სასაზღვრო და ფინანსური საკითხების მოწესრიგების შესახებ; დაიდო საბჭოთა კავშირ-ირანის შეთანხმებანი საქონლის ურთიერთმოწოდებისა და ტრანზიტის შესახებ, შეთანხმება მდინარეების არაქსისა და ატრეკის საზღვრისპირა მონაკვეთების ერთობლივად და თანასწორუფლებიანად გამოყენების პროექტების შედგენის შესახებ, შეთანხმება პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ. ირანს მიეცა წინადადება სხვადასხვა დარგში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირი დიდ ღონისძიებებს იღებდა ორი ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, კულტურის და ხელოვნების მოღვაწეთა პირადი კონტაქტების შემდგომი განვითარებისათვის. საბჭოთა მთავრობის მოწვევით სსრ კავშირში ვიზიტით იყო ირანის შაჰი. ირანის მინისტრები, საპარლამენტო დელეგაცია, სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაცია, მეცნიერები, ლიტერატორები, სპორტსმენები სტუმრად იყვნენ მოსკოვსა და სხვა საბჭოთა ქალაქებში. ამავე დროს ირანი ინახულეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ, ზოგიერთმა საბჭოთა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, საბჭოთა კულტურის წარმომადგენლებმა.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ ახორციელებს ირანთან პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განმტკიცების პოლიტიკას, მიუხედავად არამეგობრული მოქმედებისა ირანის მთავრობის მხრივ, რომელმაც თავისი ქვეყანა აგრესიულ ბაღდადის პაქტს მიაჯაჭა. სსრ კავშირის მთავრობა მეგობრულად აფრთხილებდა ირანის მთავრობას, რომ იგი საშიშ გზას ადგას, განზრახული რომ აქვს ხელი მოაწეროს ორმხრივ სამხედრო ხელშეკრულებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ირანის ტერიტორია გადასცეს ამერიკის სამხედრო ხროვის განკარგულებაში.

საბჭოთა მთავრობის 31 ოქტომბრის ცნობილმა განცხადებამ ირანის მთავრობისადმი და ამ განცხადების შემსვლებმა 1958 წლის 28 დეკემბრის სამახსოვრო ბარათმა ფართო გამოხმაურება ჰპოვეს ირანის საზოგადოებრიობაში. ირანის ნამდვილად ეროვნულმა ძალებმა ამ განცხადებებში დაინახეს საბჭოთა კავშირის გულწრფელი სურვილი დაეხმაროს ირის ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებაში და იმ ჩიხის დაძლევაში, რომელშიც ირანი აღმოჩნდა იმპერიალისტურ ხელშეწყობისთან გარიგების იმ არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკის შედეგად, რომელსაც ირანის მმართველი წრეების გარკვეული ნაწილი ახორციელებს. ირანის საზოგადოებრიობის განწყობილებაში უთუოდ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე არაბულ აღმოსავლეთში მომხდარმა უკანასკნელმა მძაფრმა ამბებმა და, კერძოდ, ერაყის რევოლუციამ.

ირანის საზოგადოებრიობა უფრო აქტიურად, ვიდრე ოდესმე წინათ, ილაშქრებს ირანში ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომი პარპაშის წინააღმდეგ, მერიკა-ირანის სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერის წინააღმდეგ, მოაკრძალა ბაღდადის პაქტს მიაჯაჭვა. ირანელი ხალხი დაინტერესებულია ეკონომიური მშენებლობის გაჩაღებითა და თავისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით, ირანის დამოუკიდებლობის განმტკიცებით, მოსაზღვრე მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან გულწრფელი, კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობით.

ცნობილია, რომ მთელმა რიგმა თვალსაჩინო ირანელმა გენერლებმა აზრი გამოთქვეს იმის სასარგებლოდ, რომ ირანიდან განიდევნოს ყველა უცხოელი (იგულისხმება: ამერიკელი) მრჩეველი და ექსპერტი, რომელთა რიცხვი 4.600 კაცს აღწევს. ოფიცრები აცხადებენ, რომ თუ ამერიკის ჯარები ირანში შევიდნენ, „ირანის არმია პროტესტის ნიშნად დაიშლება“.

ირანის მშრომელები გამოდიან თავიანთი უფლებების დასაცავად, რომლებიც რეაქციამ და უცხოელმა მონოპოლისტებმა გათელეს. როგორც საზღვარგარეთის პრესაში იუწყებოდნენ, აბადანის მენავთობე მუშებმა ლაპარაკი არ დაანებეს პრემიერ-მინისტრ ეგბალს, როცა მან სცადა დამამშვიდებელი სიტყვით გამოსულიყო მათ წინაშე. მენავთობეებმა მოითხოვეს ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის მონაწილე უცხოელ ექსპლოატატორთა ალაგმვა.

ირანის თანდათან გართულებული საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში ირანის მთავრობამ საბჭოთა კავშირის მიმართა წინადადებით დაედოთ ხელშეკრულება სსრ კავშირსა და ირანს შორის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ. ეს წინადადება ხელშეკრულების პროექტის ტექსტთან ერთად ა. წ. 19 იანვარს გადასცა საბჭოთა ელჩს თეირანში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰექმათმა, რომელიც დაბეჯითებით სთხოვდა საბჭოთა მთავრობას უმოკლეს ვადაში გაეცა პასუხი ირანის წინადადებაზე. ამასთან ჰექმათმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელმოწერილი იქნებოდა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება სსრ კავშირთან, ირანი ხელს არ მოაწერდა ხელშეკრულებას ამერიკელებთან.

საბჭოთა მთავრობამ, იმის სურვილით, რომ ხელი შეეწყო სსრ კავშირსა და ირანს შორის მეგობრული ურთიერთობის და ურთიერთ ნდობის განვითარების მტკიცე საფუძვლის შექმნისათვის, ანგარიში გაუწია ირანის მთავრობას. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გაგზავნილიყო თეირანში მოლაპარაკებისათვის საბჭოთა მთავრობის დელეგაცია.

საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა თეირანში, სადაც მოხდა შეხვედრები შაჰთან, პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან. ხელშეკრულების ირანის პროექტის განხილვის მსვლელობაში, პროექტისა, რომელიც მიღებული იყო საფუძვლად, ირანმა თავიდან ბოლოს ამოიღო ის ადგილები, რომლებიც ეხებოდნენ ირანის ტერიტორიის, ჰაერის და ზღვის ტერიტორიის ხელშეუხებლობას, ასევე ამოიღო ის ადგილი, სადაც ლაპარაკი იყო ირანის ტერიტორიაზე ამერიკელ ინსტრუქტორთა ყოფნის ვადის ოთხ თვეზე ნაკლებ ვადაზე

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲡᲐᲭᲣᲥᲐᲠᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲡ ᲡᲣᲠᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲧᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝᲒᲐᲗᲐ ᲨᲝᲓᲔᲒᲘᲐ

ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲡ ᲨᲣᲨᲔᲜᲔᲜ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲡᲣᲠᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ

ᲠᲔᲘᲙᲘᲐᲕᲘᲙᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). გუშინ გაზეთ „ტიოდვილიინში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ ისლანდიის ეროვნული სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთან, ისლანდიაში უდიდესი არაკვალიფიციურ მუშათა პროფკავშირის „დაგსბრუნნის“ თავმჯდომარის მოადგილესთან ტრიგვი ებილსონთან, რომელიც დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც იგი როგორც ამ პარტიის წარმომადგენელი ესწრებოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას.

ტ. ებილსონმა აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა იქნება ეტაპი იმ გზაზე, რომ სიუხვე შეექმნას კომუნისტურ საზოგადოებას; საბჭოთა ხალხი აღსავსეა მტკიცე გადაწყვეტილებით მიაღწიოს ამ გეგმის განხორციელებას, რაც შეიძლება მოკლე ვადებში, ვიდრე შვიდწლიან პერიოდში“.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მნიშვნელობას, ტ. ებილსონმა განაცხადა: „ხალხთა მშვიდობა და მეგობრობა— ასეთია იდეა, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ყრილობის დელეგატთა ყველა გამოსვლას. მიძღვნილს მვიდწლიანი გეგმის განხილვისადმი. საბჭოთა ხალხს სურს მშვიდობა და ესაჭიროება მშვიდობა თავისი შემოქმედებითი გეგმების განხორციელებისათვის. მშვიდობა ყოველგვარი კულტურის წინამძღვარია, საბჭოთა ხალხი კი ესწრაფვის დაეუფლოს კულტურის სხვადასხვა მხარეს. მშვიდობა საბჭოთა ხალხს ესაჭიროება იმისათვის, რომ ააშენოს თავისი მომავალი მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის საფუძველზე. და საბჭოთა ხალხი დედამიწაზე სიცოცხლისათვის ძლევამოსილად იელის იმ გზით, რომლითაც სიარულს ესწრაფვის ყველა ქვეყნის მუშათა კლასი, — სოციალიზმსა და უუფლებობაზე გამარჯვებისაკენ, მსოფლიო ომის წარმოშობის ყოველი შესაძლებლობის თავიდან აცილებისაკენ“. გაზეთის კორესპონდენტის შეკითხვაზე, როგორ აფასებს იგი იმ ამოცანების რეალობას, რომლებიც საბჭოთა ხალხმა დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ცხოვრების სხვადასხვა დარგში, ტ. ებილსონმა უპასუხა, რომ ეს ამოცანები და გეგმები სრულებითაც არ მიეკუთვნებიან ოცდაათა დარგს, ისინი ხამდვილი ამოცანები და გეგმებია.

ᲓᲔᲚᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). დაბრუნდა რა დელში, კერალის შტატის თავჯარმა მინისტრმა ნიმბუდრიპადაძა, რომელიც იყო ინდოეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე, პრეს-კონფერენციაზე ილაპარაკა თავის მთამეტდღიან ებებზე ყრილობის შესახებ.

განაცხადა რა, რომ შვიდწლიანი გეგმა, რომელიც ყრილობამ მოიწონა, ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის კოლოსალურ ეკონომიურ განვითარებას, ნიმბუდრიპადმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს გეგმა დიდ გავლენას მოახდენს სოციალიზმის განვითარებაზე სხვა ქვეყნებში, საბჭოთა კავშირმა, თქვა მან, დაიწყო სოციალიზმის მშენებლობა იზოლაციის პირობებში და მშენებლობის მსვლელობაში ბევრი სიძნელე განიცადა. ახლა ბევრი სოციალისტური ქვეყანაა, და საბჭოთა კავშირს, რომელიც წინ უსწრებს ამ განვითარებით, შეუძლია დახმარება გაუწიოს ამ ქვეყნებს სოციალიზმის მშენებლობაში. ამრიგად, დრო, რომელიც დასჭირდება სოციალიზმის მშენებლობას ამ ქვეყნებში, შეიძლება შემცირდეს. შვიდწლიანი გეგმა, — თქვა ნიმბუდრიპადაძა, — სასიუქარია მთელი მსოფლიოს მუშებისათვის.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ყრილობამ განიხილა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

ნიმბუდრიპადმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა ინდოეთს აქვს მეტად დიდი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ გააფართოოს ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲮᲐᲜᲝᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დღეს გამოაქვეყნა განცხადება ჟენევის შეთანხმებათა შესრულების საკითხზე ლაოსში. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ლაოსის სამეფო მთავრობის პრემიერ-მინისტრის სანანიკონეს მტკიცებათა მიუხედავად, ჟენევის შეთანხმების ბევრი მუხლი ლაოსის შესახებ არ არის შესრულებული ან სერიოზულად ირღვევა. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოხატულებას პოულობს პატეტ-ლაოს პატრიოტული მოძრაობის ყოფილ წევრთა დევნითა და რეპრესიებით, ამერიკის სამხედრო გავლენის გაძლიერებით ლაოსში.

განცხადებაში აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ლაოსის სამეფო მთავრობის გადაწყვეტილება აღარ ჩათვალოს თავი შებოჭილად იმ ვალდებულებებით, რომლებიც ჟენევის შეთანხმებებიდან გამომდინარეობენ, აშკარად ეწინააღმდეგება შეთანხმების 39 მუხლს ლაოსში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ და ლაოსის სამეფო მთავრობის 1954 წლის 20 ივლისის განცხადებას. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში გამომჟღავნებულია საშინაო და საგარეო რეაქციის ძალების ნამდვილი ზრახვები ლაოსში მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიის ლიკვიდაციისათვის კამპანიაში, რომელიც უკანასკნელ ხანს მოეწყო. ლაოსის სამეფო მთავრობის განცხადება, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ამა წლის 12 თებერვლის განცხადება პირდაპირ კავშირშია ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების გეგმებთან, რომლებიც ითვალისწინებენ ლაოსის გადაქცევას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზად და მის შეყვანას სეატოს აგრესიულ ბლოკში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, ნათქვამია განცხადებაში, მიაჩნია, რომ ლაოსის სამეფო მთავრობას ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ლაოსის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა ყველა მუხლის ზუსტი და სრული შესრულებისათვის. ლაოსში მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიის საქმიანობის გაგრძელება, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, სავსებით აუცილებელია ბისკრმინაციისა და ძალადობის იმ აქტების დროულად თავიდან აცილებისათვის, რასაც სჩადიან წინააღმდეგობის ყოფილი მონაწილეების მიმართ ლაოსში, იმისათვის, რომ აღიკვეთოს იარაღის საიდუმლო შეტანა, რაც ეწინააღმდეგება ჟენევის შეთანხმებებს, და გადიდდეს სამხედრო უცხოელი პერსონალი ლაოსში ინდოჩინეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის მშვიდობის შენარჩუნების მიზნით.

ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲠᲝᲛᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). გაზეთმა „უნიტამ“ დღეს გამოაქვეყნა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის პალმირო ტოლიატის მოწინავე სტატია სათაურით „ფაქტები და პერსპექტივები“, რომელიც ეძღვნება მთავრობის კრიზისს იტალიაში.

ტოლიატი აცხადებს, რომ, საერთო აზრით, „მთავრობის კრიზისი წარმოადგენს იტალიაში მდგომარეობის საერთო გაფუჭებისა და კათოლიკურ მოძრაობასა და ქრისტიან დემოკრატთა პარტიაში, რომელიც ძისი აოლიტიკუოი გამოხატულებაა, სეროიზული შინაგან წინააღმდეგობათა შედეგს“.

ეხება რა წინანდელი მთავრობის საქმიანობას, ტოლიატი აღნიშნავს, რომ ეს საქმიანობა იყო უარისთქმა ყოველგვარ, თუნდაც გაუბედავ ცდაზე განეხორციელებინა კოსტიტუციით გათვალისწინებული რეფორმები, ხელისშეწყობა მონოპოლიებისა, მსხვილი მემამულეებისა და საერთაშორისო კაპიტალიზმის ყველაზე ძლიერი ჯგუფების მისწრაფებისათვის ეკონომიური ბატონობისადმი.

მშრომელი მასების ბრძოლამ სასიცოცხლოდ დიდმაშვნელოვანი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, აღნიშნავს ტოლიატი, შეასრულა გადამწყვეტი როლი, ხელი შეუწყო მთავრობის თანდათანობით დასუსტებასა და სახელის გატეხას და, მაშასადამე, აღმოჩნდა კათოლიკურ პარტიაში სულ უფრო ძლიერ წინააღმდეგობათა და ნამდვილი პოლიტიკური გაკოტრების მიზეზი.

ეხება რა ქრისტიან დემოკრატთა მემარჯვენე მთავრობის პერსპექტივებს, რომელსაც ახლა აქმნიან და რომელიც ემყარება მონარქისტებსა და ფაშისტებს, ტოლიატი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს მთავრობა თავისი პოლიტიკის განხორციელების დროს ეაყწყდება ხალხის წინააღმდეგობას.

„იტალიაში უწინარეს ყოვლისა არსებობს დემოკრატიული ძალების უდავო უპირატესობა, — აცხადებს იგი, — რომლებსაც თავიანთ პირდაპირ შეურაცხყოფად მიაჩნიათ კავშირი რეაქციის ძალებთან და არ აპირებენ დაუშვან იგი. გარდა ამისა, ეკონომიური მდგომარეობა იტალიაში სულ უფრო სერიოზული ხდება და სულ უფრო ფართოდ ვრცელდება აზრი, რომ საქმე არც ისე ცუდად იქნებოდა, თუ მთავრობა სხვა ეკონომიურ პოლიტიკას განახორციელებდა. მაშასადამე, ისახება და სულ უახლოეს დროში კვლავ დაისახება პრობლემები, რომლებიც საფუძვლად უდევს წინააღმდეგობასა და ბრძოლას, რასაც მშრომელთა ყველა ფენა ეწოდა უკანასკნელ თვეებში... დემოკრატიული ინსტიტუტების დაცვა და ბრძოლა შრომის უფლებისა და ეკონომიური განვითარებისათვის უაღრესად მჭიდროდ იხლართება ერთმანეთში“.

ᲙᲐᲚᲛᲘᲠᲝ ᲢᲝᲚᲘᲐᲢᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲠᲝᲛᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). გაზეთმა „უნიტამ“ დღეს გამოაქვეყნა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის პალმირო ტოლიატის მოწინავე სტატია სათაურით „ფაქტები და პერსპექტივები“, რომელიც ეძღვნება მთავრობის კრიზისს იტალიაში.

ტოლიატი აცხადებს, რომ, საერთო აზრით, „მთავრობის კრიზისი წარმოადგენს იტალიაში მდგომარეობის საერთო გაფუჭებისა და კათოლიკურ მოძრაობასა და ქრისტიან დემოკრატთა პარტიაში, რომელიც მისი აოლიტიკუოი გამოხატულებაა, სეროიზული შინაგან წინააღმდეგობათა შედეგს“.

ეხება რა წინანდელი მთავრობის საქმიანობას, ტოლიატი აღნიშნავს, რომ ეს საქმიანობა იყო უარისთქმა ყოველგვარ, თუნდაც გაუბედავ ცდაზე განეხორციელებინა კოსტიტუციით გათვალისწინებული რეფორმები, ხელისშეწყობა მონოპოლიებისა და ძმურ ურთიერთდახმარებაზე დაყრდნობით უნგრელ ხალხი წარმატებით ავითარებს თავის ეკონომიკასა და კულტურას.

გასული წელი აღინიშნა ახალი წარმატებებით უნგრეთის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. რესპუბლიკის მრეწველობამ 4 პროცენტის გადამეტებით შეასრულა წლიური გეგმა, ხოლო მთლიანმა წარმოებამ 12 პროცენტით გადააჭარბა 1957 წლის დონეს. განსაკუთრებით სწრაფი ზრდაა მრეწველობის ძირითად დარგებში. მაგალითად, მანქანათაშენებელი მრეწველობის წარმოება გაიზარდა 17 პროცენტით, ქვანახშირის ამოღება —14 პროცენტით, ნავთობისა — 23 პროცენტით, ფოლადის წარმოება — 18 პროცენტით, ელექტრონერგიისა — 19 პროცენტით და ა. შ. მიმდინარე წელს წარმოების ტემპი და მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება.

რესპუბლიკამ დიდი წარმატებანი მოიპოვა სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, რომელიც განვითარების სოციალისტურ გზას დაადგა. ამჟამად 3.560 სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი და საწარმოო-კოოპერაციული ჯგუფი 175 ათას გლეხს აერთიანებს. მათ ეკუთვნით რესპუბლიკის მთელი სახნავ-სათესი ფართობის 13,5 პროცენტი.

ყოველწლიურად ფართოვდება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ეკონომიური თანამშრომლობა. ხელ რომ შეუწყოს უნგრეთის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევს რესპუბლიკას მეტალურგიული, მანქანათაშენებელი, ქიმიური, ნავთობის, მსუბუქი მრეწველობისა და მრეწველობის სხვა დარგების მშენებლობაში. მიწოდებული მოწყობილობისა და მანქანების ფასის გადასახდელად უნგრეთს მიეცა გრძელვადიანი კრედიტები შეღავათიან პირობებში. იზრდება და მტკიცდება მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ.

არის რა სოციალისტური ქვეყნების დიადი თანამეგობრობის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას დიდი ეკონომიური შეაქვს სოციალისტური ბანაკის ერთიანობის განმტკიცების საქმეში და აქტიურად იბრძვის მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

უდიდესი გამოხმაურება გამოიწვიეს უნგრელ ხალხში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, რომელმაც დასახა შვიდწლიანი პროგრამა გაშლილი კომუნისტური მშენებლობისა სსრ კავშირში. ეს გრანდიოზული პროგრამა ხელს შეუწყობს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივ აღმავლობას.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულების მეოერთმეტე წლისთავის დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები გულწრფელად უსურვებენ უნგრელ ხალხს ახალ დიდ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში.

Д. ᲑᲝᲩᲐᲠᲝᲕᲘ.

ᲣᲐᲠᲘ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ ᲣᲒᲣᲜᲣᲠ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲖᲔ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 15 თებერვალი. (საკდესი). ინგლისელი ჟურნალისტი მალკოლმ მაგერიჯი სტატიაში, რომელიც დაიბეჭდა „სანდი აიტერიელში“, — მკვეთრად აკრიტიკებს ისიგნებათა ახალ გადიდებას საბჭოთა მიზნით, რასაც ითვალისწინებს მთავრობის თეთრი წიგნი თავდაცვის საკითხების დარგში.

მაგერიჯი გმობს იხგლისის მთავრობას ატომგულის გამალებული შეიარაღების განგრძობისათვის. თუ ინგლისი გამოიყენებს თავის ატომგულს იარაღს, წერს ავტორი, უეჭველია, „ჩვენ თავს დაგვატყდება საპასუხო დარტყმა, რომელიც გააპოოოცელდება იგივე იარაღით, მაგრამ გაცილებით დიდი ძალით, რის შედეგად ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი შესაძლებელია განადგურდეს“. აცხადებს რა, რომ სამხედრო მიზნით იხარჯება საარაკო სახსრები, სტატიის ავტორი წერს: „მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ვხარჯავთ ასეთ დიდ თანხას და ვაწარმოებთ მომაკვდინებელ იარაღს მხოლოდ იმისათვის, რომ შეეინარჩუნოთ დიდი სახელმწიფოს ნიღაბი“. ყველა სახეობის თანამედროვე იარაღი, განაგრძობს მაგერიჯი, იქმნება მისი შესაძლო გამოყენებისათვის ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგერიჯი მოუწოდებს ინგლისის მთავრობას უარი თქვას ასეთ უგუნურ პოლიტიკაზე.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ

18 თებერვალს სრულდება თერთმეტი წელი მას შემდეგ, რაც მოსკოვში დაიდო საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ პრინციპებზე, ურთიერთპატივისცემასა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობაზე დაფუძნებულმა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულებამ ცხადყო დიდი სახიცოცხლო ძალა, ბრწყინვალედ გაუძღო დროის გამოცდას. ხელშეკრულება ემსახურებოდა და ემსახურება საბჭოთა ხალხისა და უნგრელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების დიდმნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის სიმტკიცე დადასტურებულ იქნა 1956 წლის კონტრრევოლუციის დღეებში, როცა შინაური და გარეშე მტრები ცდილობდნენ ხელეყოთ უნგრეთის სოციალისტური მონაპოვრები

და როცა საბჭოთა კავშირი უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თხოვნით დაეხმარა უნგრელ ხალხს, რითაც მოიხადა თავისი ინტერნაციონალური ვალი.

„უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, უნგრელი ხალხი, — თქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამბ. იანოშ კადარმა, — ულრმესი მადლობის გრძნობას განიცდიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი იმ ძმური დახმარებისათვის, რომელიც მათ გაუწიეს 1956 წელს უნგრელ ხალხს იმ ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებმაც კონტრრევოლუციური ამბოხება მოაწყეს, ბურჟუაზიულ-მემამულური რეაქციის, საერთაშორისო იმპერიალიზმისა და რევიზიონისტების გამცემლობის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

კონტრრევოლუციამ სერიოზული ზიანი მიაყენა უნგრეთის ეკონომიკას. მაგრამ საბჭოთა კავშირმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა მძლავრი დახმარება გაუწიეს სახალხო უნგრეთს, რის შედეგად უნგრელმა ხალხმა სწრაფად აღმოფხვრა კონტრრევოლუციური პუტჩის მძიმე შედეგები. რესპუბლიკა მტკიცე რწმენით მიდის სოციალიზმის შემდგომი მშენებლობის გზით, ზედიზედ აღწევს გამარჯვებას.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უმდიდრეს გამოცდილებაზე, მათთან ყოველმხრივ თანამშრომლობასა და ძმურ ურთიერთდახმარებაზე დაყრდნობით უნგრელ ხალხი წარმატებით ავითარებს თავის ეკონომიკასა და კულტურას.

გასული წელი აღინიშნა ახალი წარმატებებით უნგრეთის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. რესპუბლიკის მრეწველობამ 4 პროცენტის გადამეტებით შეასრულა წლიური გეგმა, ხოლო მთლიანმა წარმოებამ 12 პროცენტით გადააჭარბა 1957 წლის დონეს. განსაკუთრებით სწრაფი ზრდაა მრეწველობის ძირითად დარგებში. მაგალითად, მანქანათაშენებელი მრეწველობის წარმოება გაიზარდა 17 პროცენტით, ქვანახშირის ამოღება —14 პროცენტით, ნავთობისა — 23 პროცენტით, ფოლადის წარმოება — 18 პროცენტით, ელექტრონერგიისა — 19 პროცენტით და ა. შ. მიმდინარე წელს წარმოების ტემპი და მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება.

რესპუბლიკამ დიდი წარმატებანი მოიპოვა სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, რომელიც განვითარების სოციალისტურ გზას დაადგა. ამჟამად 3.560 სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი და საწარმოო-კოოპერაციული ჯგუფი 175 ათას გლეხს აერთიანებს. მათ ეკუთვნით რესპუბლიკის მთელი სახნავ-სათესი ფართობის 13,5 პროცენტი.

ყოველწლიურად ფართოვდება საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ეკონომიური თანამშრომლობა. ხელ რომ შეუწყოს უნგრეთის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევს რესპუბლიკას მეტალურგიული, მანქანათაშენებელი, ქიმიური, ნავთობის, მსუბუქი მრეწველობისა და მრეწველობის სხვა დარგების მშენებლობაში. მიწოდებული მოწყობილობისა და მანქანების ფასის გადასახდელად უნგრეთს მიეცა გრძელვადიანი კრედიტები შეღავათიან პირობებში. იზრდება და მტკიცდება მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ.

არის რა სოციალისტური ქვეყნების დიადი თანამეგობრობის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას დიდი ეკონომიური შეაქვს სოციალისტური ბანაკის ერთიანობის განმტკიცების საქმეში და აქტიურად იბრძვის მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

უდიდესი გამოხმაურება გამოიწვიეს უნგრელ ხალხში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, რომელმაც დასახა შვიდწლიანი პროგრამა გაშლილი კომუნისტური მშენებლობისა სსრ კავშირში. ეს გრანდიოზული პროგრამა ხელს შეუწყობს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივ აღმავლობას.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულების მეოერთმეტე წლისთავის დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები გულწრფელად უსურვებენ უნგრელ ხალხს ახალ დიდ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში.

Д. ᲑᲝᲩᲐᲠᲝᲕᲘ.

ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ახლა შეიძლება ითქვას, რომ თბილისში ნამდვილი ზამთარია.
სურათზე: 16 თებერვალს რუსთაველის პროსპექტზე.
ფოტო ხ. ონანოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ 1959 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საორგანიზაციო ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ფეხბურთში საბჭოთა კავშირის 1959 წლის პირველობის გათამაშების შესახებ.

გასული წლების მსგავსად „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს 12 გუნდი. ესენი არიან: „სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (მოსკოვი), ცსკა მო, „ზენიტი“ (ლენინგრადი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „დინამო (კიევი), „ტორპედო“ (მოსკოვი), „შახტიორი“ (სტალინი), „დინამო“ (თბილისი), „კრილია სოვეტოვ“ (კუიბიშევი), „მოლდოვა“ (კიშინიოვი), სკკო (როსტოვი).

ჩემპიონატში უკანასკნელ მე-12 ადგილზე გამოსული გუნდი მომავალი სეზონისათვის კარგავს უძლიერესთა რიგებში გამოსვლის უფლებას. წელს ამას ერთვის ზოგიერთი სიახლე. მაგალითად, „ა“ კლასში უკანასკნელისწინა მე-11 ადგილზე გამოსულმა კოლექტივმა მონაწილეობა უნდა მიიღოს „ბ“ კლასის ზონებში. გამარჯვებულთა დასკვნითს ასპარეზობაში, ამასთანავე უნდა გამოვიდეს პირველ ან მეორე ადგილზე, რომ „ა“ კლასში დარჩეს.

მნიშვნელოვნად გადიდებულია „ბ“ კლასში მონაწილე ფეხბურთელთა კოლექტივების რიცხვი. აქ ერთმანეთს პირველობას შეეცილება 101 გუნდი, რომლებიც გაყოფილი არიან 7 ზონაში.

საქართველოს გუნდები — თბილისის სკკო და „ლოკომოტივი“ და ქუთაისის „ტორპედო“, ჩარიცხული არიან მესამე ზონაში. მათთან ერთად ამ ზონაში გამოვლენ „სპარტაკი“ (ერევანი), „შირაკი“ (ლენინაკანი), „ტექსტილშრიკი“ (კიროვაბადი), „ნეფტიანიკი“ (ბაქო), „ტემპი“ (მახჩაკალა), „თერგი“ (გროზნო), „სპარტაკი“ (ნალჩიკი), „სპარტაკი“ (სტავროპოლი), „ყუბანი“ (კრასნოდარი), „როსტსელმაში“ (როსტოვი), „ტორპედო“ (ტაგანროგი).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲛᲝᲑᲐᲨᲘ

გუშინწინ ოსლოში „ბიშლეტის“ სტადიონზე დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება ჩქაროსნულ ციგურაობაში ვაჟთა შორის.

500 მეტრზე რბენაში უძლიერესები იყვნენ საბჭოთა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენები — ვორონინი და იან ძიუ-შენი, რომლებმაც დისტანცია გაიარეს 42,4 წამში. მათ თანმიმდევრულად დაიკავეს პირველი და მეორე ადგილები. 5.000 მეტრზე რბენაში უძლიერესი იყო ჰოლანდიელი სპორტსმენი პეტმანი. მისი დროა 8 წუთი და 12,1 წამი.

ასპარეზობის უკანასკნელ დღეს, 15 თებერვალს მოეწყო შეჯიბრება 1.500 და 10.000 მეტრზე რბენაში. ამ დისტანციებზე გაიმარჯვეს სალონენმა (ფინეთი) და იუხანესენმა (ნორვეგია).

ოთხ დისტანციაზე შეგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა იარვინენი (ფინეთი). მეორე ადგილზე გამოვიდა ამავე ქვეყნის წარმომადგენელი სალონენი. სსრ კავშირის მოციგურავემ მერკულოვმა მესამე ადგილი დაიკავა.

ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲓᲠᲔᲑᲘ

მიმდინარე წლის საკავშირო პირველობა ჩქაროსნულ ციგურაობაში ჩელიაბინსკში მოეწყო. შეჯიბრება ორ დღეს გრძელდებოდა. 15 თებერვალს გაიმართა უკანასკნელი შეჯვედრები 1.000 და 3.000 მეტრზე რბენაში. ამ დისტანციებზე წარმატება ხვდათ ი. არტამონოვსა და ლ. ტროიაკიოს, რომლებმაც მანძილი გაირბინეს 1 წუთსა და 39,4 წამში და 5 წუთსა და 34,9 წამში.

4 დისტანციის ჯამის მიხედვით სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა ლენინგრადელმა თ. რილოვამ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲛᲣᲨᲡᲝᲤᲚ-ᲙᲝᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ

გაზეთ „კომუნისტის“ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა კაბინეტი 18 თებერვალს დღის 4 საათზე ტყიბულში სტალინის სახელობის შახტის ავტობუნკერში აწყობს მუშაკორთა და ძირეული პრესის მუშაკთა შეხვედრას საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატთან სოციალისტური შრომის გმირთან პ. ჭელიშვილთან.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲦᲐᲜᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ოთხშაბათს, 18 თებერვალს
ალ. აფხაიძე
ᲐᲠᲐᲒᲕᲔᲚᲔᲑᲘ
ხუთშაბათს, 19 თებერვალს
კ. ბუაჩიძე
ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲡᲘᲣᲟᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ
პარასკევს, 20 თებერვალს
ალ. აფხაიძე
ᲐᲠᲐᲒᲔᲚᲔᲑᲘ
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲓᲦᲔᲡ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — დაისი (მე-13 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ხეები ზეზეულად კვდებიან, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სინდოსის ქისა (მე-19 აბონ. 5 ს.), **თოჯინების ქართული** — თოვლის პაპა (11 ს.), **მამლის თავგადასავალი** (4 ს.), **თოჯინების რუსული** — სამი გოჟი (10 ს. და 3 ს. 30 წ.), **ყურმა** (1 ს.), **რუსთაველის სახელობის საკონცერ